სსიპ ღვინის
ეროვნული სააგენტო

ანგარიში
2023 წელი
იანვარ-სექტემბერი

- **შესავალი.....2 გვ.**
- **სერტიფიცირება ... .2 გვ.**
- **WWTG-ს თავმჯდომარეობა..... 3 გვ.**
- **პოპულარიზაცია .....3 გვ.**
- **ექსპორტი.....12 გვ.**
- **რთველი .....12 გვ**
- **ხარისხის მონიტორინგი .....13 გვ.**
- **ვენახების კადასტრის პროგრამა.....14გვ.**
- **ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა.....15გვ.**
- **„Eco2Wine“.....15 გვ**
- **ტრენინგები .....16 გვ.**

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

2023 წლის 9 თვეში განხორციელებული საქმიანობიდან აღსანიშნავია:

ადგილობრივი ბაზრისთვის სერტიფიცირება

ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის გაძლიერების მიზნით, 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის განკუთვნილი, საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ. შესაბამისი ცვლილებები „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში“ 2021 წელს განხორციელდა. ამ დრომდე, სავალდებულო სერტიფიცირება საექსპორტო პროდუქციას სრულად, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ ადგილწარმოშობის ღვინოებსა და ჭაჭას ეხებოდა. ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი ან რეალიზაციის განმახორციელებელი პირი, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციისას, ვალდებულია იქონიოს პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელსაც სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული ოქმის საფუძველზე გასცემს.

საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა

13-14 მარტს, ბრიუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე, აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს, ერთი წლის ვადით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადმოეცა. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) წარმოადგენს ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებას და მისი წევრები საქართველოსთან ერთად, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი არიან. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ინფორმაციის გაზიარებისა და სავაჭრო ბარიერების მოსახსნელად ერთობლივი ქმედებების განხორციელების გზით. საქართველო WWTG-ის 2014 წელს თავმჯდომარეობდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება და დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის პროცედურებს ამარტივებს. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) მიერ საქართველოს ერთწლიანი თავმჯდომარეობის პერიოდი დადებითად შეფასდა. 2014 წლის აგვისტოში, თბილისში გამართულ WWTG- ს პლენარულ შეხვედრაზე მიღებულ დოკუმენტს, ღვინის შემადგენლობისა და პოტენციური დამაბინძურებლების ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და მარეგულირებელი შეზღუდვების შესახებ, ორგანიზაციაში დღესაც „თბილისის განცხადება" ეწოდება.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

მიმდინარე წლის 9 თვეში ქართული ღვინო წარდგენილი იყო მსოფლიოს 11 ქვეყანაში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ნიდერლანდები, ლატვია, ჩინეთი, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ კორეა, დანია) 12 გამოფენაზე, 17 ფესტივალზე და 44 დეგუსტაციაზე. მათ შორის, აღსანიშნავია:

„VinExpo Paris 2023“

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის 13 კომპანია, მსოფლიოს 52 ქვეყნის 3 ათასზე მეტ მწარმოებელთან ერთად, 12-13 თებერვალს მასშტაბურ გამოფენაში „VinExpo Paris“ მონაწილეობდა.

„Foodex Japan 2023“

7-10 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე კვებისა და სასმელების გამოფენაში „Foodex Japan 2023“ მონაწილეობდა.

„Vinexpo New York“

8-9 მარტს, ნიუ-იორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Vinexpo New York“ ქართული ღვინის მწარმოებელმა 26-მა კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით წარადგინა.

„ProWein-2023“

19-21 მარტს ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და ასოციაციის „ქართული ღვინო“ ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, გამოფენაში „ProWein-2023“ ქართული ღვინის 25 კომპანია მონაწილეობდა.

„The 108th China Food & Drinks Fair“

12-14 აპრილს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 34 კომპანია მონაწილეობდა. პანდემიის შემდეგ, ეს იყო ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა ჩინეთში.

გერმანელი ღვინის პროფესიონალების ტური

18-23 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, საქართველოში გერმანელი ღვინის პროფესიონალების ტური განხორციელდა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სომელიეები, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations” და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლები.

,,RAW Wine LA”

23-24 აპრილს ქართული ღვინო, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ლოს-ანჯელესში, ბუნებრივი ღვინოების გამოფენაზე ,,RAW Wine” იყო წარმოდგენილი. ღვინის მწარმოებელმა რვა მარანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოფენაზე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ღვინოები წარადგინა.

მემორანდუმი ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის

4 მაისს, ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, ქართული ღვინისა და ქართული რაგბის პოპულარიზაციის მიზნით, რაგბის 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის პერიოდში, ერთობლივი ღონისძიებები ჩატარდება.

ღვინის პროფესიონალების ვიზიტი აზიის ქვეყნებიდან

2-7 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media'' ხელმძღვანელის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთიდან და სინგაპურიდან ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ.ტურის ფარგლებში, 14 კაციანი ჯგუფის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში სომელიეები და იმპორტიორები შედიოდნენ, ქართლსა და კახეთში ღვინის საწარმოები დაათვალიერეს.

ZERO COMPROMISE 2023

6 მაისს,ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო" ორგანიზებით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერი, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE" გაიმართა. ფესტივალში ასოციაციის წევრი 100 ადგილობრივი მარანი და სხვადასხვა ქვეყნის მარნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საფერავის ფესტივალი ,,საფერიკა"

12-13 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ორგანიზაციის „საფერიკა" ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის შტატის ფინგერ ლეიკსის რეგიონში, ადგილობრივი „დოქტორ კონსტანტინ ფრანკის მეღვინეობის" ტერიტორიაზე, საფერავის ორდღიანი ფესტივალი „საფერიკა" გაიმართა. წელს, ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 30-მდე კომპანიის მიერ წარმოებული საფერავის ჯიშის ღვინოები, როგორც საქართველოდან, ისე ფინგერ ლეიკსის რეგიონიდან.

„ახალი ღვინის ფესტივალი"

13 მაისს, ფესტივალი ღვინის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და ასოციაციის ,,ქალები ღვინის ინდუსტრიაში'' (WIWI) მხარდაჭერით გაიმართა. „ახალი ღვინის ფესტივალი", ტრადიციულად, მონაწილეთა და სტუმართა ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. ფესტივალში 100 ღვინის კომპანია და 128 საოჯახო მარანი, ასევე ღვინის სექტორთან დაკავშირებული კომპანიები მონაწილეობდნენ, მათ შორის, როგორც უკვე ცნობილი, ასევე ახალი მარნები ახალი ღვინოებითა და კონცეფციებით.

London Wine Fair 2023

15-17 მაისს, ლონდონის საგამოფენო ცენტრში Olympia London ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა London Wine Fair 2023 ჩატარდა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მონაწილეობდა.

ქართველი მეღვინე ქალების მორიგი წარმატება ლონდონში

23-26 მაისს, ქართველმა მეღვინე ქალებმა ლონდონში საკუთარი პროდუქცია ღვინის ეროვნული სააგენტოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით წარადგინეს. ღონისძიებებში 20 ქართველი მეღვინე ქალის პროდუქციას ბრიტანელი ღვინის პროფესიონალები, დარგის ადგილობრივი ექსპერტები და ღვინის თემაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლები გაეცნენ.

26 მაისის აღნიშვნა ქალაქ ოზურგეთში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ ოზურგეთში წარმოდგენილი იყო კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“. ღონისძიებაში 10-მდე ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა;

მემორანდუმი USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამასთან

29 მაისს, ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდაზე ორიენტირებული მარკეტინგული აქტივობების მხარდაჭერის მიზნით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის პროგრამასა და ღვინის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან განხილვისა და ასევე საქართველოს ღვინის ექსპორტის სტატისტიკისა და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში, ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციისთვის პრიორიტეტულ ბაზრებად განისაზღვრა შეერთებული შტატები, გერმანია და სამხრეთ კორეა.

Wine Expo Georgia 2023

2-4 ივნისს, გამოფენაზე მოსულ სტუმრებს, სამი დღის განმავლობაში, შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე კომპანიის როგორც ალკოჰოლურ სასმელებს, ასევე, ინფორმაციას ღვინის ინდუსტრიაში არსებულ ტექნოლოგიებზე, მანქანა-დანადგარებს, აქსესუარებსა და სერვისებს. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა ღვინის ექსპორტის ფორუმი - Winexpo Forum და საერთაშორისო კონკურსი Georgian International Wine Award ჩატარდა.

ქართული ღვინის წარდგენა დანიაში

7-9 ივნისს, კოპენჰაგენში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებები გაიმართა: კინოთეატრში „Grand Teatret" სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო" ჩვენება გაიმართა. დანიის სომელიეთა აკადემიისა და ადგილობრივი ჰორეკა სექტორის წარმომადგენელთათვის ჩატარდა ქართული ღვინის მასტერკლასი, რომელიც კოპენჰაგენის ცენტრში, სადეგუსტაციო სივრცეში გაიმართა.

RAW Wine

11 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე „RAW Wine" საქართველოდან ღვინის 14 მწარმოებელი იყო წარმოდგენილი.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

18-23 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში ბრიტანელი ღვინის მაგისტრი, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group" ხელმძღვანელი სარა ებოტი და ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი იმყოფებოდა.

ქართული ღვინის დეგუსტაცია იაპონიაში

21 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებას ადგილობრივი HoReCa სექტორის წარმომადგენლები, სომელიეები და იმპორტიორები, ჯამში 50 სტუმარი დაესწრო. პრეზენტაციას, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge" დირექტორი, ღვინის ცნობილი მაგისტრი, კენიჩი ოჰაში უძღვებოდა.

„Seoul Wine and Spirits Expo 2023"

22-24 ივნისს, კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში, 22 ივნისს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენა „Seoul Wine and Spirits Expo 2023" გაიხსნა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 14 კომპანია მონაწილეობდა.

22 ივნისს, კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის პროგრამასა და ღვინის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა.

ქართული ღვინის წარდგენა ჰამბურგში

26 ივნისს, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში, ქართული ღვინის დეგუსტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ff.k Public Relations" ორგანიზებით ჩატარდა. ღონისძიება B2B ფორმატში გაიმართა და მას ღვინის მარკეტინგის ცნობილი სპეციალისტი ჯანეტ შუმანი (Janet Schumann) უძღვებოდა.

ქართული ღვინის ფესტივალი კრაკოვში

30 ივნისს ღვინის ეროვნული სააგენტოს და პოლონური მარკეტინგული კომპანიის „Malinova" ერთობლივი ორგანიზებით, ქართული ღვინის ფესტივალი პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში გაიმართა.

რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ფესტივალი

22 ივლისს, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის რიგით მეორე ფესტივალი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქალაქ ცაგერში გაიმართა. ფესტივალში რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის დიდი, საშუალო და მცირე 65 მარანი მონაწილეობდა. მათ საკუთარი პროდუქცია ფესტივალის სტუმრებს, ევროპის ქვეყნებიდან მოწვეულ სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებს, სომელიეებს, იმპორტიორებს და ქართველ ექსპორტიორებს წარუდგინეს.

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური

13-16 ივლისს განხორციელებული ტურის შემადგენლობაში იყვნენ ღვინის იმპორტიორები და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ წარმომადგენლები. ტურის მიზანი აშშ-ის ბაზარზე ქართულ ღვინის ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა იყო. პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, თბილისში, სტუმრებისთვის გაიმართა ქართული ღვინის მასტერკლასი, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ღვინოები.

ქართული ღვინის წარდგენა ნიდერლანდებში

28 აგვისტოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ქართული ღვინის იმპორტიორი კომპანიის „Bleeker Wijnimport“ ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით, წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული ღვინის კომპანიის, საშუალო და მცირე მარნების პროდუქცია.

გერმანელი ღვინის მაგისტრის ვიზიტი საქართველოში

6-9 სექტემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations” ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის მაგისტრი კონსტანტინ ბაუმი სტუმრობდა და ქართული ღვინის საწარმოებს კახეთში გაეცნო. კონსტანტინ ბაუმი გერმანიაში ყველაზე ახალგაზრდა ღვინის მაგისტრი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვინის Youtube არხის მფლობელია (120.000 გამომწერით და 6 მილიონზე მეტი ნახვით). მას საკუთარ ონლაინ მაღაზიაში წარმოდგენილი აქვს პერსონალურად შერჩეული ღვინოები (baumselection.com).

"Daejeon International Wine Festival"

8-10 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, კორეის რესპუბლიკის ქალაქ დეჯონში საერთაშორის ფესტივალზე "Daejeon International Wine Festival" ქართული ღვინის 15 მწარმოებლის, როგორც დიდი კომპანიების, ასევე მცირე მარნების ღვინო იყო წარმოდგენილი. საქართველო წელს ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა. სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართველ ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი

პროდუქცია წარედგინათ ადგილობრივი ღვინის პროფესიონალებისთვის, რაც ქართული ღვინით დაინტერესებისა და შემდგომში გაყიდვების ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

10-15 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში ბრიტანელი ღვინის მაგისტრი, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group" ხელმძღვანელი სარა ებოტი და ღვინის პროფესიონალების 12-კაციანი ჯგუფი იმყოფებოდა. ქართული ღვინის ინდუსტრიის გაცნობის ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ეწვივნენ. თბილისში, სპეციალურად მათთვის გამართულ დეგუსტაციაზე, შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 15 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოს.

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი

12-17 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს ამერიკელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ. სტუმრებს შორის იყვნენ კომერციული სექტორის და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" წარმომადგენლები. 7-კაციანი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ესტუმრნენ.

პრესის წარმომადგენლების ვიზიტი გერმანიიდან

13-17 სექტემბერს, სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations" ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები, ინფლუენსერები და ბლოგერები სტუმრობდნენ. ტურების ფარგლებში, სტუმრები კახეთსა და ქართლში, ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებში იმყოფებოდნენ. ტურის მონაწილეების შთაბეჭდილებები და შეფასებები გერმანულ გამოცემებსა და სხვადასხვა ბლოგზე ვრცელდება, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ბაზრებზე.

ქართული ღვინის დეგუსტაცია გერმანიაში

26 სექტემბერს, საერთაშორისო ღონისძიების „Wine Campus" ფარგლებში, გასტრონომიისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენებისთვის ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია ქალაქ დუსელდორფში გაიმაფრთა, სადაც წარმოდგენილი იყო 22 დასახელების ქართული ღვინო. აქვე გაიმართა სემინარი ქართული ღვინის შესახებ, რომელსაც უძღვებოდა ღვინის ექსპეერტ ინგე მაინცერი.

ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია ნიუ-იორკში

26 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo&Partners" ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიება მოიცავდა ქართული ღვინის დეგუსტაციას და მასტერკლასს და მას ღვინის სფეროში მოღვაწე 200-მდე სტუმარი დაესწრო: იმპორტიორები, დისტრიბუტორები, ღვინის მწერლები, ნიუ-იორკის ცნობილი სომელიეები და ჟურნალისტები. წარმოდგენილი იყო 30-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები.

ქართული ღვინის წარდგენა ლატვიაში

28 სექტემბერს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ბალტიისპირეთის ქვეყნებში სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „TRIBE INTERNATIONAL" ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა. ღონისძიებას ღვინის იმპორტიორები, დისტრიბუტორები, ღვინის მწერლები, ჟურნალისტები, ბლოგერები და სომელიეები დაესწრნენ; საპრეზენტაციოდ წარდგენილი იყო 10-მდე დასახელების ქართული ღვინო.

ქართული ღვინო რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე

29 სექტემბერს, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, ქალაქ ბორდოში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა. ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში „Cité du Vin", ღვინის ეროვნული სააგენტოს უშუალო ორგანიზებითა და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველო საელჩოს მხარდაჭერით გამართული ქართული ღვინის წარდგენის ღონისძიება ორ ნაწილს მოიცავდა: ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია, რომელსაც 80-მდე მოწვეული სტუმარი დაესწრო, და საზეიმო ვახშამი სტუმრებისთვის, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიო რაგბის, საფრანგეთის სარაგბო ფედერაციის, ფიჯის სარაგბო გაერთიანების, საქართველოს რაგბის კავშირის, საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და საკონსულოს წარმომადგენლები, ასევე, ქართველი ვეტერანი მორაგბეები, რომლებიც სხვადასხვა დროს თამაშობდნენ საფრანგეთის კლუბებში.

ექსპორტი

მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, მსოფლიოს 60 ქვეყანაში ექსპორტირებულია 67,6 მლნ ლიტრი ღვინო, ზრდა 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4%-ია. ღვინის ექსპორტით მიღებული შემოსავალი გაიზარდა 12%-ით და 193,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება საქართველოში წარმოებულ სპირტიან სასმელებს, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 10,7 მლნ ლიტრი, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12% შეადგინა. სპირტიანი სასმელების რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 65,2 მლნ აშშ დოლარს შეადგინა, ზრდამ 17% შეადგინა.

რთველი - 2023

რთველის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად 24 აგვისტოს გაიხსნა და მთელი რთველის პერიოდში 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა. შტაბის გახსნას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატები გელა სამხარაული და ირაკლი ქადაგიშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ. შტაბი კოორდინაციას უწევს რთველის ორგანიზებულად ჩატარებას, ჩასაბარებელი ყურძნის აღრიცხვიანობისა და მიკვლევადობას. რთველის წინამოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზების მიზნით, შტაბის წევრების ნაწილი კახეთში აგვისტოს დასაწყისიდან იმყოფებიან.

- მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, რთველის მხარდასაჭერად, სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება. სახელმწიფო სუბსიდიას იღებს ის კომპანია, რომელიც

2023 წლის რთველის განმავლობაში შეიძინა და გადაამუშავა კახეთის რეგიონში მოწეული არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის და/ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენი. ამასთან, შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ, ყურძნის ჩამბარებელს გადაუხადა არანაკლებ 0,90 ლარი. კახეთის რეგიონში მევენახის მიერ მოწეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია შეადგენს 1კგ რქაწითელისა და 1 კგ კახური მწვანისათვის 0,20 ლარს.

ყურძნის აღრიცხვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმდინარეობდა, რაც მიკვლევადობისა და ხარისხიანი პროდუქციის წარმოების საწინდარია. აღნიშნული სისტემა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წლიდან დაინერგა და მას შემდეგ ეფექტიანად ფუნქციონირებს.
2021 წლიდან, ყველა მევენახე ფერმერი საწარმოებს ყურძენს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის საფუძველზე აბარებს.

30 სექტემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით გადამუშავებული იყო 186,2 ათასი ტონა ყურძენი, საიდანაც 71,1 ათასი რქაწითელი, 77,4 ათასი საფერავი და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი იყო. ამასთან ერთად, სახელმწიფო ღვინის საწარმო შპს "მოსავლის მართვის კომპანიის" მიერ გადამუშავდა 19,2 ათასი ტონა კლიმატური პირობების გამო დაზიანებული ყურძენი. ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 300 კომპანია.

ქართული ღვინის ხარისხი

საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებენ.

მიმდინარე წლის 9 თვეში, სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა, რაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს, 31 კომპანიაში განხორციელდა. აღებულ 173 ნიმუშში, დარღვევა აღმოჩნდა 12 ნიმუშში.

ინსპექტირება 158 კომპანიაში განხორციელდა, აღებული იყო 503 ნიმუში. უარი სერტიფიკატის გაცემაზე ეთქვა 13 კომპანიას. ამასთან ერთად, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების „SGS“ და „Bureau Veritas” მიერ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ინსპექტირება 184 კომპანიის პროდუქციაზე განხორციელდა. აღებული იყო 440 ნიმუში. სერტიფიკატი გააუქმდა 20 კომპანიას. ინსპექტირების პროცესი სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს.

საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 213 დეგუსტაცია ჩატარდა. სულ შემოვიდა 9503 ნიმუში, აქედან 353 ნიმუში შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი დადებითად.

საანგარიშო პერიოდში სულ გაცემულია 19266 სერტიფიკატი, აქედან 13313 შესაბამისობის სერტიფიკატი, ხოლო 5953 VI-1 სერტიფიკატია.

ვენახების კადასტრის პროგრამა

2023 წლის რთველის პერიოდში, მევენახეების მიერ ყურძენი მარნებში ჩაბარდა საკადასტრო მონაცემთა ბაზიდან (ABACO) გაცემული ამონაწერების საფუძველზე, მიმდინარეობდა კადასტრისათვის გამოყენებული მონაცემთა ბაზის განახლება.

ვენახების კადასტრის პროგრამა გრძელდება დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში: იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა;

სამიზნედ შერჩეულ ოთხ რეგიონში - იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა - საკადასტრო სამუშაოების დაწყების პირველ ეტაპზე განხორციელდა სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ ვაჭარაძისა და კადასტრის სამმართველოს უფროსის დავით მაღრაძის შეხვედრები პრემიერ-მინისტრის რწმუნებულებთან და მათი აპარატის წევრებთან, ასევე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც მიღწეული იქნა შეთანხმებები ერთობლივი ძალებით კადასტრის აგების შესახებ.

გამოცხადდა ტენდერი ვენახების ახალი ორთოფოტოების აეროგადაღებისა და ორთორუკების მომზადების მიზნით. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა საკადასტრო ინფორმაციის განახლება კახეთისა, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, მესხეთის და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონებში. მევენახეთა ინტერვიუს ორგანიზების და საკადასტრო ინფორმაციის შეკრების მიზნით დასავლეთ საქართველოში მომზდდა ოპერატორები და 13 ივნისიდან დაიწყო საკადასტრო სამუშაოები.

ღვინის ეროვნული სააგენტოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ორგანიზებით მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულაციის შესახებ ტრეინინგების ფარგლები კადასტრის შესახებ პრეზენტაციები წარდეგენილი იქნა თბილისსა და თელავის, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში.

მომზადდა 2022 წლის ვენახების კადასტრის ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც გათვალისწინებულია გამოქვეყნებისათვის დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია

ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს „ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტს“, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს კვლევებს მევენახეობაში, მეღვინეობაში და მათთან დაკავშირებულ მომიჯნავე დისციპლინებში.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მზადება სამეცნიერო კონფერენციისთვის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი - შედეგები და სიახლეები“, რომელიც საქართველოში 10-13 ოქტომბერს გაიმართა.

მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- განისაზღვრა ის პარტნიორი ინსტიტუტები და მეცნიერები, რომლებიც მიიღებენ მონაწილებას წლევანდელ კვლევებში. გაწერილი იქნა განხორციელების გეგმა.

- პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორ პატრიკ მაკგოვერნთან გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ველური და კულტურული ვაზის ნიმუშებში ორგანული მჟავების შესწავლის შესახებ.

- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებთან მიღწეულია შეთანხმება იქ დაცული ვაზის წიპწების რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების შესახებ.

ღვინის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის პროექტში „Eco2Wine“ ერთვება

ღვინის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის პროექტში „Eco2Wine“ ერთვება

ევროკავშირის პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ სასწავლო პროექტი „Eco2Wine” მიზნად ისახავს მეღვინეობაში გლობალური ინოვაციებისა და კომუნიკაციის გაძლიერებას. პროექტის განხორციელება 2023 წლის ბოლოს დაიწყება.

მილანის უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებული Eco2Wine-ის პარტნიორები არიან საქართველოს, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, სლოვენიის და სამხრეთ აფრიკის ქვეყნები და შესაბამისი უნივერსიტეტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მილანის უნივერსიტეტი, ბურგუნდიის უნივერსიტეტი, გაიზენჰაიმის უნივერსიტეტი, პერუჯის უნივერსიტეტი, ლუბლიანას უნივერსიტეტი, კადისის უნივერსიტეტი და სტელენბოშის უნივერსიტეტი და ესპანეთის ეროვნული კვლევების საბჭო.

პროექტში თითოეული ქვეყნიდან ასევე ჩართულია არიან ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოს მხრიდან, ღვინის ეროვნული სააგენტო და შპს „ღვინის კომპანია შუმი".

პროექტის საქმიანობა წარიმართება უახლესი კვლევების განხორციელების, დოქტორანტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეღვინეობის ახალი მიდგომების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიმართულებებით.

პროექტის Eco2Wine სამეცნიერო კუთხით მიზანს კი, წარმოადგენს ღვინის დაყენების დროს წარმოქმნილი მიკრობული ურთიერთქმედებების ინოვაციურ ინსტრუმენტად გამოყენება. ამასთან ერთად, პროექტის ძირითადი ამოცანაა ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა ღვინოების წარმოების, ვენახის მოვლის მეთოდების გაუმჯობესებისა და მომხმარებლებისთვის ღვინის მეტი არჩევანის შეთავაზების ხელშეწყობა.

პროექტი ფოკუსირებული იქნება უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე; ის ასევე გამოიყენებს შემოქმედებით მიდგომებს საზოგადოებრივი კომუნიკაციისა და ჩართულობის კუთხით, რაც მოიცავს ციფრულ ფორმატში ისტორიების თხრობას, ვირტუალურ ჩვენებებს, მეცნიერება-ხელოვნების კავშირებს, ასევე, მცდელობებს, ჩართოს შესაბამისი საზოგადოებრივი ჯგუფები ახალი იდეების შექმნაში.

პროექტის ღირებულება 2,4 მილიონი ევრომდეა და ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდება.

ტრენინგები

1 ივნისიდან 31 ივლისის პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, მეღვინეობის სფეროში დაინტერესებული პირებისა და მარნებისათვის ქვეყნის მასშტაბით ტრენინგები ჩატარდა.

ტრენინგებზე განიხილებოდა ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ღვინის წარმოებასთან: სააგენტოს ძირითადი ფუნქციები და სამართლებრივი ჩარჩო; სააგენტოში ღვინის კომპანიის რეგისტრაცია; მევენახეობა და ვენახების კადასტრი; რთველის აღრიცხვა და ნაშთების წარმოება; არაყურძნისეული ალკოჰოლური სასმელების რეგულაცია; ხარისხის კონტროლი; სერტიფიცირების ეტაპები, ლაბორატორია, ეტიკეტირება; სააგენტოს როლი მარკეტინგულ აქტივობებში.

ტრენინგები მოიცავდა სრულიად საქართველოს რეგიონებს და მასზე დასწრება უფასო იყო. ტრენინგები ქვეყნის მასშტაბით 17 ლოკაციაზე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში გაიმართა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში: (http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/nationalwineagency/, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)